სამშობლო

კვირა
13 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანა გვერდზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 309 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 309

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრიც ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორხავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„სამშობლო“-ზე
ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.
გაზეთი გამოვა
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.
წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ. ცალკე ნუმერი 5 კ.
რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე**. გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

უწყალო სიკვდილისაგან გულდამწვარი აზ. ნიკოლოზ ბესარიონის ძე, მეუღლე მისი ევდუკია პეტრეს ასული, დავითი, გიორგი, პროკოფი და ბაჟუა გუნცაძეები მეუღლეებითურთ გაუწყებსთ რა გარდაცვალებას პირველი უსაყვარლესის ერთად ერთი ვაჟისას, მეორენი ძმისწულისას ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფის

ბაკი (**კუკუშა**) ნიკოლოზის ძის გუნცაძისას,

რომლის გამოსვენება დანიშნულია ქუთაისიდან ძველი თბილისის ქუჩა, სახლი ალავიძისა, მიცვალებულს წაასვენებენ სადგურზე კვირას, 13 მარტს, დილის 10 საათზე საიდანაც წაასვენებენ ზესტაფონში და დაკრძალვენ სოფ. კვალითში იმავე დღეს.

89 პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, 2—2

ირას, 13 მარტს, საღამოს 7 საათზე, ქუთაისის სათავად-აზნაურო ანკის დარბაზში დანიშნულია ქუთაისის ქართული გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების

საგანგებო კრება.

კრებამ უნდა აირჩიოს წარმომადგენელნი ქალაქ თბილისში კულტურულ საზოგადოებათა კავშირის კრებაზე დასასწრებლათ.

83 **გამგეობა.** 2—2

ს.|ს. ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში
ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ
მიიღეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი
ხ. ხრისტოდულიდის.
ისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის ძ-ბის,
დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

ქიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
ნაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების ღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

ქიმი **ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. სავათმყოფოს ორდინატორი. განაახკანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ **ბინაზე, დილით, 12 —** საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: **ლეჟავაზოვი.** ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

ქიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუკრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გვნეროლის ქუჩა. ლორთქიფანიძის სახლი თ 3

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი.
ოთხშაბათიდან, 9 მარტიდან ახალი პროგრამა:
ვერ აიტანა სირცხვილი.
თანამედროვე დრამა სამ ნაწილად, მოპასანის რომანიდან, ცნობილ მსახიობების: ვერხოვეცკოის და სალტიკოვის მონაწილეობით.
ანტოშა კორსეტმა დაღუპა. კომედია — ფარსი 2 ნაწილად, ანტონ ფერტნერის მონაწილეობით
შესასვლელი ბილეთების ფასი: ლოჟა:—85 კ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ. მოწაფეთათვის მეორე ალაგი 30 კ. ჯარისკაცთათვის მესამე ალაგი—20 კ.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი
ოთხშაბათიდან, 9 მარტიდან ახალი პროგრამა:
მომტვრეული ფრთები.
კინო დრამა, რომელმაც თავის დროზე დიდი ხმაურობა გამოიწვია, 6 ნაწილად. მონაწილეობენ საიმპერატორო თეატრის მსახიობები: კარალლი და პოლონსკი
შესასვლელი ბილეთების ფასი: ლოჟა—85 კ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ. მოსწავლეთათვის მეორე ალაგი 30 ჯარისკაცთათვის მესამე ადგილი 20 კ.

ექიმი **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

ექიმი **ა. მ. ახათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ.
11

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

ფრიდრიხშტადტის რაიონში, ჩვენმა მზვერავებმა დვინზე გადასვლის დროს, ხელთ იგდეს გერმანელთა ერთი ტყვიის მფრქვეველი იაკობშტადტის მიმართულებით გერმანელები ავგუსტჰოლფთან ძლიერი ჯარით წამოვიდენ, მაგრამ ჩვენ საჩქაროდ უკუ ვაქციეთ. ტბა ბარგუნეკის სამხრეთ დასავლეთით ჩვენ წინსვლას განვაგრძობთ. დვინსკთან ჩვენ კონტრ-იერიში უკუვაგდეთ მტერი და წინ მივიწევთ. დვინსკის რაიონში ბრძოლა გრძელდება ვიზდის და მელკელის ნაწილში სეპლის სამხრეთ-დასავლეთით, 10 მარტს ღამის განმავლობაში ხდებოდა ხელით სასროლ ყუმბარებით ბრძოლა. ტბებს ნაროჩსა და ვიშნევსკისთან ბრძოლაა. ბლიზკიკთან და მოკრიცასთან დიდი ბრძოლა ხდებოდა. პოსტავის სამხრეთ-დასავლეთით ყაზახებმა ტყვეთ წამოიყვანეს ორი ოფიცერი და 180 ჯარის კაცი. ამის გარდა, ჩვენ ხელთ ვიგდეთ 26 საველე ყუმბარა, ერთი ხელით სასროლი ყუმბარა და ორი მონიმეტი, 15 სანტიმეტრიანი მორტირი, 4 პროჟექტორი, 637 თოფი, ერთი ყუთი 300 ხელის სასროლ ყუმბარით.

გალიცია. ბევრ ადგილებში გაცხოველებული ბრძოლაა.

კავკასიის ასპარეზი.

წინსვლა გრძელდება. სპარსეთში ურმიის ტბის აღმოსავლეთით ჩვენ გავფანტეთ ქურთ ოსმალთა რაზმი.

— —

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

იტალია—საბერძნეთის წინააღმდეგ.

მოსკოვიდან დეპეშით იუწყებიან: იტალიელები კრიტოსის კუნძულზე ჯარების გასაგზავნათ ემზადებიან საბერძნეთის გაზეთები სწერენ, რომ იტალიელებს კრიტელები წინააღმდეგობას გაუწევენო. კრიტოსი საბერძნეთმა შეიერთა კარგა ხანია, ეხლა, როგორც სჩანს, იტალიელები ბერძნებს ეცილებიან; რას იტყვიან კრიტელები, ამაზე არავინ ფიქრობს. იტალიელებისა და ბერძნებს შორის კონფლიქტის მზადებაა.

ენვერ—ფაშა ცოცხალია

სტამბოლიდან მოსული ცნობებით, მოსალოდნელია ოსმალეთის მთავრობა გამოიცვალოს. დიდ ვეზირად ენვერ—ფაშას ნიშვნენ, ხოლო ჯევალ—ფაშას სამხედრო მინისტრობას ჩააბარებენო.

არეულობა სტამბოლში.

წასულ კვირაში სტამბოლში სანოვაგის გაძვირების გამო არეულობა დაიწყო იქაც აღმოჩნდენ „დამრბევნი“, რომელნიც უწყალოდ ანგრევდენ დუქნებს და სომხებსა და ბერძნების სახლებს ძარცვავდენ. არეულობა შეიარაღებული ძალით ჩააქვრეს.

ქრონიკა

რუსეთი.

კავკასიას ახალ მმართველს უნიშნავენ.

პეტროგრადიდან მოსკოვის გაზეთებს დეპეშით აუწყებენ, რომ მაღალ სფეროებში ხმა გავრცელდა კრივოშეინს კავკასიაში ახალ თანამდებობაზე ნიშნავენო. იმასაც დასძენენ, რომ კითხვა უკვე საბოლოოდ არის გადაწყვეტილიო.

გერმანეთის კურსის შემცირება.

„რუსკია ვედომოსტს“ ატყობინებენ, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან გიმნაზიის კურსის 8—7 წლიანი იქნებაო.

საქლავის სიმცირის გამო.

იმავე გაზეთს დეპეშით აუწყებენ, რომ მიწათ-მოქმედების მინისტრმა ნიუმოვმა ხორცის შემცირებისათვის ახალი კანონ პროექტი შეიმუშავა. ამ კანონ-პროექტით საქონლის დაკვლა სასაკლაოებზე აკრძალული იქნება სამშაბათობით და ხუთშაბათობით, ხოლო ხორცი საყასბოებში ოთხშაბათს და პარასკევს გასაყიდათ აღარ იქნება.

უცხოეთი.

ცენზურის სისასტიკე საფრანგეთში.

თებერვლის დამლევს ცნობილ კლემანსოს ჟურნალის ერთი ნუმრის კონფისკაცია მოახდინეს, შემდეგ ეს ჟურნალი 8 დღით შეაჩერეს. რისთვის, ამას არ ამქლავნებენ. ცენზურაც ასეთი უნდა.

რევოლუცია ჩინეთში.

ტოკიოდან ცნობები მოდის, რომ ვუჩანში მდგარი მთავრობის ჯარების შესამჩნევი ნაწილი აშკარად უცხადებენ თანაგრძნობას იუნანელებს, ე. ი. რევოლუციონერებს. მათგან რევოლუციონერების მხარეზე გადასვლის მაგალითები ყოველდღე მატულობს. ეს გარემოება ცხადია იუანშიკაის ჯარებში დიდ არევ დარევას და საურთიერთო ჩხუბს გამოიწვევს.

პეკინიდან მოსულ ცნობებით, ვუჩანში არტილერია უკვე აჯანყდა და ერთი მისი ნაწილი უკვე უნჩანისკენ გაემართა.

ვუჩანისა და ხანკოუს მცხოვრებნი რევოლუციაზე გავრცელებული ხმებით საშინლათ აღშფოთებულნი არიან.

ფლოტის მოსამსახურეთა შორისაც მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყო ასეთი ამბებია ჩინეთში და იმავე დროს პეკინის გავლენიან კომერციულ წრეებში კიდევ დიდი იმედი აქვს იმის, რომ ჩინეთის მთავრობასა და იუნანელების, რევოლუციონერების შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი კომპრომისით დასრულდება. დაჟინებით გაიძახიან, რომ პეკინიდან მთავრობამ ერთი თავისი „დიდ კაცთაგანი“ უკვე გაგზავნა რევოლუციონერებთან მოსალაპარაკებლადო.

ს. დ. „ფორვარსტის“ სისხი.

ომის საწინააღმდეგო აგიტაციის გასატარებლათ ცენზურის თვალის ასახვევათ ს. დ. ორგანომ „ფორვესტმა“ შემდეგ ხერხს მიმართა. მან შემოიღო „პატარა ფელეტონები“, სადაც პატარ პატარა სცენები და სურათები იბეჭდება, რომლებშიაც არაკებისა და იგავების სახით ომის საწინააღმდეგო აგიტაცია ტარდება.

მაგალითად ამას წინად ამ გაზეთში დაბეჭდეს თავის „მკითხველის“ პატარა მოთხრობა.

ბერლინის ერთ დიდ ქუჩაზე „მკითხველი“ 6 წლის პატარა ბიჭს ხვდება, რომელიც ზურგით მძიმე აგურ მიათრევდა. ეტყობოდა, რომ ბალღს ძალიან გაჭირვებოდა ტვირთის ზიდვა, ამიტომ იგი მას ხშირ-ხშირად ჩამოდებდა ძირს და ყინვისაგან გათოშილ ხელებს იფშვნეტდა. „მკითხველის“ შეკითხვაზე, თუ რად უნდა მას ეს აგური, ბალღმა უპასუხა, რომ მას უნდა ერბოს მაღაზიაში ერბო იყიდოს და რადგან დიდხანს მომიხდება ცდა და ჩემი წუთები კი ძირ გავარდნილია, ამიტომ მიმაქვს აგური, დავიდებ ქვეშ და ზედ დავადგები, რომ ფეხები არ გამეყინოსო. მამა ჩემი ომშია წასული განაგრძო პატარამ, დედა ფაბრიკაში მუშაობს და უმცროს ძმას, ძუძუმწოვარას უვლის სახლში და აქ კი ერბოს საყიდლათ მე უნდა ჩავდგე რიგშიო.

როცა ერთი საათის შემდეგ ერბოს მაღაზიის წინ ისევ გამოვიარე, ამბობს „მკითხველი, დავინახე რომ სხვა ამგვარივე ბედში მყოფ მრავალ ბავშვებთან ერთად რიგს ელოდებოდა ზემოთ აწერილი ბალღი და სიცივისაგან სულ ერთიანათ ცახცახებდა, თუმცა მისგან მიტანილ აგურზე იდგა. იდგა გრძელ რიგში მოქანცულ არაქათ გამოლეულ ქალთა და ბავშვთა შორის, რომელთა ქმრები და მამები ომში არიან წაყვანილნი ხოლო ბავშვთა დედები ფაბრიკებში მუშაობენ; უმწეო ბავშვები და ქალნი კი ამ ნესტიან ცივ დღეში თითქმის დილიდან საღამომდი დუქნის წინ იდგენ, და ერთ ლუკმა ერბოს ელოდებოდენ!

მსოფლიო ომი.

(დღიური).

კავკასიისა და ოსმალეთ-სპარსეთის ფრონტზე. რუსეთის ჯარმა ურმიის ტბის სამხრეთით კიდევ წაიწია წინ. ოსმალეთის ასპარეზზე ახალი არაფერი მომხდარა.

რუსეთისა და ავსტრია გერმანიის ასპარეზზე დაწყებული შეტევა სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ახლა ყველაფრიდან სჩანს, რომ გერმანელებმა რუსეთის ფრონტის ორივე ფრთაზე—ჩრდილოეთისა და სამხრეთის შეტევა გადასწყვიტეს სამხრეთით დემონსტრაციას უკვე იწყებენ, ხოლო ჩრდილოეთით ყოველი თავისი ძალღონით უტევენ. რუსეთის ჯარიც კარგა ხანია ელოდა ამას და მზადებაში იყო დასახვედრათ ჯერ ჯერობით უმკლავდება და ხანდახან ინიციატივასაც იჩენს. მაგრამ თუ გავიხსენებთ მდ ვისლის ნაპირებზე რუსეთის ჯარის მხნეობას და გამკლავების ხანგრძლივობას, უნდა ვიფიქროთ, რომ ის დვინაზედაც დიდხანს უნდა გაუმკლავდეს, თუ, რასაკვირველია, ადგილობრივმა მდებარეობამ და გერმანელთა ძალების მოზღვავებამ ეს მოლოდინი არ გააქრო. ბრძოლა უმთავრესად დვინის ფრონტის ცენტრში სწარმოებს იაკობშტატის რაიონში — ავგუსტიგობსთან, სადაც რუსეთის ჯარმა კონტრიერიშით გერმანელები უკუაქცია. ტბა ბარგუნეკის ჩრდილო დასავლეთით რუსეთის ჯარმა თავის მხრიდანაც სცადა იერიში. მაგრამ დასრულდა თუ არა ეს იერიში ამაზე ცნობა არაა. გერმანელებმა დვინსკის და ვიდზის რაიონებში იერიშები ზედიზედ მოიტანეს, მაგრამ ყოველთვის უკუქცეულ იქნენ. მელკელის ნაწილში, ტბა სეკლის ჩრდილო დასავლეთით ხელჩართული ბრძოლაც გაიმართა, მარა გამარჯვება ვის მხარეზე დარჩა, ამას აღარ გვაუწყებენ. კლიპის რაიონში, სადაც გერმანელებმა არტილერიით საშინელი ქარცეცხლი დაანთეს, რუსეთის ჯარმა, მიუხედავათ ამისა, ყველა დაბრკოლება სძლია და გერმანელების იერიში აქაც უკუაგდო. ტბა ნაროჩთთან და ვიშნევსკისთან 9 მარტს დაწყებული ბრძოლა ისევ გრძელდება. ავსტრიის ფრონტზე „პოლესიეში“ და გალიციაში ბევრგან მოპირდაპირეებმა თოფის სროლა გააჩაღეს.

სხვა ფრონტზე, გარდა იტალიისა, ყველგან სიწყნარეა

ვერდენში.

ინგლისელი კორესპონდენტი, ვარნერ ალლენი, რომელიც საფრანგეთის ჯარს ახლავს, ვერდენის მდგომარეობას, როცა მას ზარბაზნებს სცემდენ, შემდეგ ნაირათ აგვიწერს:

ქალაქი, სადაც ცხოვრება რამდენიმე დღის წინათ ისე დუღდა და გადადიოდა, ახლა სრულიად დაცალიერებულია. ყველა დუქანი დაკეტილია. ვერდენში დარჩა სულ სამი კაცი-მოქალაქე და სამივე მეტათ ამაყობს თავისი გაბედულობით. ქუჩებში დამკვიდრებულ სიჩუმეს ხშირათ არღვევს მხოლოდ აქა-იქ ჰექა გრგვინვით გამსქდარი ყუმბარები მტრისა. შემთხვევით იშვიათი გამვლელი, როგორც კი გაიგონებს ჰაერში სისინს გამოქანებულ ყუმბარისას, მაშინვე სადმე ეზოს კარებში მიიმალება და ყუმბარის აფეთქება გასქდომის შემდეგ ის ქუჩაში გამოდის და გზას განაგრძობს. ერთ ქუჩაზე კორესპონდენტი შეხვდა ერთს ზემო დასახელებულ სამ „მოქალაქე“ გმირთაგანს. ის თავის სახლის კარებში იდგა და დიდი ცნობის მოყვარეობით სჭვრეტდა მიდამოს. მას გაეცინა, როცა დაინახა, რომ მისკენ მიმავალმა კორესპონდენტმა ყუმბარის გახეთქის ხმაზე შემკრთალი უნებურათ განზე გახტა. თქვენ უხერხულათ მოიქეცით. შენიშნა „მოქალაქემ“ კორესპონდენტს, თქვენ ქუჩის მარცხენა მხარეზე უნდა გამოსეირნობდეთ... დამხტარიყავით, რადგან „ბოშები“ იქიდან ისვრიან. ერთ ქუჩაზე კორესპონდენტს კატის საცოდავი კნავილი შემოესმა, რომელიც ალბათ პატრონების მიერ მიტოვებულ სახლის მეორე სართულის ერთერთს დახურულ ოთახში მომწყვდეულიყო. კორესპონდენტმა რამდენიმე ჯარის კაცის დახმარებით კატა გაანთავისუფლა.

საოცარია: ვერდენის საკათედრო ტაძარი ჯერ კიდევ უვნებელი იყო, თუმცა მის ირგვლივ გერმანულ ყუმბარების ნამტვრევები ეყარა სრულიად განადგურებული იყო იქვე ტაძრის გვერდზე რამდენიმე მაღაზია, რომლებშიაც ორნამენტებს და სხვა საეკლესიო ნივთებს ყიდდენ. ნანგრევების ლოდებზე იდვა, რაღაცა მანქანებით თითქო ხელ უხლებლათ გადარჩენილი შლიაპა.

კორესპონდენტი ერთ სახლში მდიდრულათ გაწყობილ სუფრას წააწყდა. სასადილოთ გაწყობილ სუფრაზე მწყობრათ ელაგა ყოველგვარი ჭურჭლეულობა და სასასმო-თასები: იდგა ღვინით სავსე გრაფინი, აგრეთვე ახალი ხილით ვაზა. ეტყობოდა, რომ სახლის უფალნი სადილობის დასაწყისში წამოშლილიყვენ საშინელი თავზარდამცემი ხმების გავლენით და მყისვე თავისთვის ეშველნათ: უკან მოუხედავათ გაქცეულიყვენ.

ახლა ვერდენის ქუჩებში მხოლოდ „კინოფოტოგრაფები“ დაძრწიან და მხოლოდ იმაზე სწუხან, რომ ყუმბარის აფეთქების მომენტში ახლო ვერ უდგებიან, ასურველი სურათი მისაღებათ. „დ.“

ქ. ქუთაისი, 13 მარტი.

„ძმური ნუგეში.“ ძმური ნუგეში, ძმური სიტყვა, ძმური დახმარება და ძმური ურთიერთობა! აი-ის ღვთაებრივი მადლი, ის ღვთაებრივი ძალა და ძლიერება, რომელიც შარავანდედით შემოსავს არა მარტო თითოეული კაცისა, თუ ოჯახის ცხოვრებას, არამედ იხსნის ყველა ერს გაჭირვებისა, დამცირებისა და გადაგვარებისაგან.

„პირველიდან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი, ხოლო როცა ეს სიტყვა განხორციელდა, და ტანჯულ კაცობრიობას მოევლინა იესო ნაზარეველის სახითა და მოძღვრებით, ქვეყანამ შეიგნო, შეისმინა რომ მისი მხსნელია მარტოოდენ ერთობა და ძმური თანამშრომლობა, მაგრამ ვით მზიან დღეს მოსდევს ხოლმე შავი ღამე, ისე კეთილ სურვილებსა და კეთილ განზრახვას ხშირად წინ აღუდგება ხოლმე ბოროტი ენა და შავ-ბნელი ძალა. და...ამ შავბნელმა ძალებმა ერთხელ კიდევ აურდაურიეს მთელი ქვეყანა, ერთხელ კიდევ მოინდომეს განადგურება და დათრგუნვა ყოველივე სიკეთისა.

ასტყდა მსოფლიო ომი, აზღვავდა ხალხი ხალხზე, ძმა ძმას დაერია, მსოფლიოს ველ — მინდორზე აჩხრიალდა სისხლის რუნაკადულები. საზარლობაა, საშინელებაა დღევანდელი დღის გათვალისწინება ზიხარ ბრძოლის ველიდან მოშორებული, მაგრამ მაინც გესმის ვერდენის ზარბაზნების გრიალი, დაჭრილ დახოცილთა კვნესავება, უპატრონოდ დარჩენილთა გლოვატირილი, უსუსურ უმწეო ბავშვების მოთქმა-ვაება, უნებურად თვალზე ცრემლი ჩამოგდის და წმინდა ლოცვასავით ბუტბუტებ ტანჯული ერის ტანჯულ გულთამხილავის სიტყვებს:

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!

მერე ვინ არ არის დღეს ბედისაგან დაჩაგრული?

მაშ, რა გვიშველის რა დაგვიბრუნებს ბედნიერებას თუ არა, ადამიანურ ცხოვრებას მაინც?

ჩვენ ტანჯვასა და მწუხარებას შეამსუბუქებს მხოლოდ ძმური ნუგეში, ძმური სიტყვა, ძმური დახმარება, ძმური ურთიერთობა!

ამას დღეს ყველა კარგად გრძნობს და შეძლებისადაგვარად არ ზოგვენ თავის ძალღონეს ისინი, ვის გულშიაც ჯერ არ გამქრალა სიყვარული მოძმისადმი.

სხვადასხვა საზოგადოებრივი და საქველმოქმედო დაწესებულებანი ქსელივით მოედვა მთელ რუსეთს და მასთან ერთად ჩვენს პატარა საქართველოსაც.

ვინაიდან ევროპის დიდრონ და მებრძოლ სახელმწიფოებთან ერთად ჩვენი ქვეყანაც ხომ უარესს სატანჯველში ჩავარდა!

თბილისში დიდიხანია დაარსდა „ძმური ნუგეში“ ქართველ მეომართა ოჯახების დასახმარებლად.

ამ მოკლე ხანში, ქუთაისშიაც არსდება ასეთი დაწესებულება.

თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოსთან არსებული ქალთა კომიტეტი ხარსებს განსაკუთრებულ „საჩაის“. დიასახლისებათ იქნებიან ყველასაგან პატივცემული მანდილოსნები, ხოლო მიმრთმევ მომრთმევად ცნობილი ოჯახების ქალიშვილები. შემოსავალი გადაიდება ქუთაისის გუბერნიიდან გაწვეულ სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლად.

მიზანი, დანიშნულება და შემადგენლობა ამ ყოვლად ძვირფასის დაწესებულებისა ისეთი დიადი და მიმზიდველია, რომ მხოლოდ ქვის გულის პატრონი თუ ჩაუვლის გვერდით ამ საჩაის, — თორემ ვისაც კი ცოტაოდენი ადამიანობა შერჩენია, როგორ მოითმენს, არ შევიდეს ამ საჩაიეში, არ დალიოს ერთი ჭიქა ჩაი, რომ თვითთნაც ისიამოვნოს და გალებული წვლილით თვალზე ცრემლი მოსწმინდოს ბრძოლის ველზე განგმირულ, ან დასახიჩრებულთა ქვრივ ობლებს.

მაშ, გაუმარჯოს წმინდა საქმეს, ძმურ ნუგეშს ძმურ სიტყვას და ძმურ დახმარებას!...

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ცნობილი ვექილი ბ ჰიპრიშვილი „საქართველოს“ დეპეშით ატყობინებს პეტროგრადიდან: მისმა მეუფებამ, მიტროპოლიტმა პიტირიმმა, პირადი საუბრის დროს, დამავალა ვაუწყო საქართველოს მისის სახელით, სიტყვა სიტყვით შემდეგი: საეგზარხოსოს არ გააუქმებენ; განზრახულია საქართველოს ეკლესიის პირველს იერარქს ებოძოს მიტროპოლიტის ხარისხი შემდეგის სახელწოდებით: ეგზარხოსი საქართველოისა, მიტროპოლიტი ქართლისა და კახეთისა.

◆ მიწათმოქმედების [illegible] ბოლოოთ გადაწყვიტა, [illegible] შით ხელის სიმცირის გამო, სამუშაოზე გაიყვანონ სამხედრო ტყვეები. სამინისტრომ ამის შესახებ შესაფერი განკარგულებები დაგზავნა.

◆ სათათბიროში კითხვაა აღძრული, ომის შემდეგ ნება დართულ იქნას ღვინისა და მაგარი სასმელების გაყიდვა.

◆ ქუთაისის სამაზრო სამხედრო სამართველო უკვე შეუდგა იმ პირველი ხარისხის რატნიკების სიის შედგენას, რომელნიც სამხედრო ბეგარის მოსახდელათ გაწვეული იყვნენ 1902 წ.—1916 წ. მობილიზაციის დროს არ გამოცხადდნენ. აღნიშნული სია ამ დღეებში გადაეცემა პოლიციას შესაფერი ზომების მისაღებათ, რომ გაქცეული პირები მოსძებნონ და წარმოადგინონ, გამოუცხადებლობისათვის პასუხის გებაში მისაცემათ და სამხედრო ბეგარის მოსახდელათ.

სამხედრო სამართველომ, თანახმად მინისტრის უკანასკნელი განკარგულებისა, თეთრ ბილეთიანების შემოწმება 1910—1916 წლიანათ, 1 ოქტომბრამდი შეაჩერა, გარდა იმ პირებისა, რომელნიც აფიცრებად და მოხელეებათ ითვლებიან და რომელნიც დაუყონებლივ უნდა გამოცხადდნენ საბეგრო სამმართველოში შესამოწმებლათ.

◆ პარასკევს, 11 მარტს, ქუთაისის ქართულ თეატრში გაიმართა მარგალიტა ბერსონის კონცერტი კონცერტმა ღირსეულად ჩაიარა. სამწუხაროთ საზოგადოება ცოტა დაესწრო

◆ ფოთის ქალაქის თვითმართველობა ატყობინებს ქუთაისის რომ პარამონოვის საწყობში 5 ფუთიანი ტომარა მეორე ხარისხის ღირს 15 მ. და 7½ კაპ.

ა) რადგან ხშირად ვაჭრებს თქვენ მიერ დაწესებულ ნიხრზე მეტად უჯდებათ სანოვაგე, საჭიროა თვეში ერთხელ მაინც შეამოწმოთ ხოლმე სანოვაგის ფასები, თორემ ვაჭრები სანოვაგეს აღარ გამოიწერენ და ხალხი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება.

ბ.) გამოუცხადეთ თქვენდამი რწმუნებულ რაიონების ვაჭრებსა და კოოპერატივებს, რომ მთავრობის განკარგულებით რკინის გზით საქონლის გზავნა ჩრდილო კავკასიიდან შეჩერებულია და ამიერიდან ზღვით უნდა შემოიტანონ.

◆ 11 მარტს, საღამოს 8 საათზე, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში მოხდა კრება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობისა თავ. მ. ფალავას თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრენ აგრეთვე ქუთ. გუ სახელმწიფო მამულების სამმართველ

რომანიდან **„შეგირდები“.**

ქალაქის დაშორებით, ეზოში ისხდა ოთხი ყმაწვილი. ეზო მთაზე იყო წყლის პირად. საღამოს ერეკებოდა ჟამი.

— მამიდა! დაიძახა ერთმა მათგანმა.

— ა? — შვილო უპასუხა სახლიდან ქალმა.

— გვაქვს რამე მამიდა დღეს საჭმელი?

— ყველია, შვილო! გამოცხვეთ ჰადი და ჭამეთ. სხვა ვერაფერი მოვასწარი.

— ბიჭო, ახლა თუ კეცების გახურება დავიწყეთ, ხვალ შუადღემდი ვერ ავდგებით. დილას კი თუ არ გავიმეორე ცოტათი მაინც, ისე ამერია ყველაფერი თავში რომ ერთს სიტყვას ვერ ვიტყვი საზრიანათ.

— საძაგლათ მშია, მართალი გითხრა, ფიზიკა ნამდვილი მადის აღმძვრელი წამალი ყოფილა.

— მეც მშია, მარა რა ვქნათ? ახლა სწორეთ ცრის და მოზელის თავი არ მაქ.

— ბიჭო რა ვქნათ იცი: გადავხტეთ აგერ ყანაში, მოვტეხოთ ერთი ათი ტარო სიმიდი, მივაფიცხოთ ცეცხლე და გათავდა.

— კაი აზრია! ერთი ბოთლი ღვინოც დარჩა, მგონი, მამიდას..

— აბა, რას უცდით?!

მთვარიან ღამეში ოთხი ყმაწვილი მარათ გადახტა ღობეზე და შეერია მაღალ დატაროვებულ ყანაში

. . .

— რა გიქნიათ, ბოვშებო ეს — მიაძახა მოხუცებულმა ქალმა ყმაწვილებს, როცა ისინი ტაროებით შევიდენ სახლში.

— აბა შიმშილით დავიხოცებოდით!...

— აკი დაგიძახეთ ყველი მაქვს მეთქი!

— მარტო ერთი წვეთა ყველი ვის [illegible]

— ჰადის გამოცხობა კი ხელებს გაგიფუჭებდათ, თქვენმა მზემ!

— შენ გამოგეცხო, შე ქალო...

— თქვე ულმერთოებო, სული შემიწუხეთ ერთი კვირაა ბლუზები და ნიფხავ-ფერანგი დაგვირეცხეო და ეხლა ამას მემართლებით? დილიდან წელში გავწყდი რეცხვით და კერვით.

— უი დედა რავა სამტროთ დაგიფხრეწიათ ყველაფერი! — და ეხლა ამ შუა ღამეზე კიდო მე უნდა გაგიკეთოთ ვახშამი?!

— ჩვენ ხომ არაფერი გვითქვამს, — დარცხვენით უპასუხეს ყმაწვილებმა, —

— წავედით, დავამტვრიეთ სიმინდი, მოვხარშოთ, ვჭამოთ, შენც ჭამე და არც ჩვენ შევწუხდებით და არც შენ.

— ქურდობა დეიწყეთ, თქვე საწყლებო ესაა თქვენი განათლება?!

— დამიწყებ ერთ ქადაგებას! რა ქურდობაა ათ ქცევა ყანაში ათი ტარო სიმიდის გამოტეხა? დეიქცევა ახლა მისი პატრონი!!..

ყმაწვილებმა საჩქაროთ ნაჭაზე კარდალათი წყალი ჩამოკიდეს, ცეცხლი შეუნთეს, სიმინდი გაარჩიეს და კარდალაში ჩაჰყარეს. სიმინდი იხარშებოდა ყმაწვილებმა თაროდან მარილი გამოიღეს და მამიდასთან ღვინის შესახებ დიპლომატიური მოლაპარაკება გამართეს.

— მიმიდა რომ იცოდე რა სიმინდია!

— კაი იქნება რა? მიწა კაია — მის პატრონს მარგვლა არ დაუკლია და მეორე თოხი; მზე მთელი დღე დაჰყურებს ყანას ღაგვიანებულსაც რა უჭირს?

— მამიდა შენც დაგვეწვევი ხომ?

— არა, შვილო, ჩემი ხნის ქალი და ნაქულდალი ვერაფერი მოწყობილია. თქვენ კიდე მოასწრებთ ცოდვების მონანიებს.

— წმინდა ბერი წმინდათ წოწყდაო, სწორეთ არაკისებურათ გემართება შენ. მარა თუ ცოდვების მონანიებას აპირებ ერთი ბოთლი ღვინო რომ გაქვს ის მოგვეცი.

— დღეს დათვრეთ ხვალ რაღას იტყვით იმ პერევეზმენია არის, თუ რაცხა ჯანდაბა!

— რა დაგვათრობს, რას ამბობ! ოთხი ჩვენ ვართ, ერთი შენ ეს ხუთი. ხუთ კაცზე ერთი ბოთლიდან ორ ორი ჭიქაც არ გვერგება.

— ა, შეთაფლეთ მაგიც. ერთცაბა კი დამალევიეთ, თუ კაცი ხარ..

— ვაშა მამიდას, ვაშა, ვაშა! რა ქალია შენი ჭირიმე - ყვიროდენ ყმაწვილები.

— სოფიოა ნამდვილი ხოლო ქალების მაგიერ ვაცი-შვილები ვყავართ: პისტი, ელპიდი და აღაპისი.

— აბა ახლა კარდალაც გადმოვდგათ.

ზოგი წაიწია კარდალას ჩამოსადგმათ, ზოგმაც მომლოდინე ტანის მდგომარეობა მიიღო

— გამარჯობა ყმაწვილებო! გაისმა ამ დროს ღია კარებში.

— მამა!

— ა, ბატონ ანდრიას ვახლავარ.

— გაუმარჯოს ანდრიას.

— თქვენი სახლია, მობრძანდი — მიიწვია დიასახლისმა.

— აქეთ მობრძანდით ზევით ოთახში... ბავშვებმა დაიჩემეს სიმინდი უნდა მევიხარშოთო და აქ ჩამოვიდენ სამზარეულოში

— დევისვით ლარი, ბიჭო, მამაშენის ჯორს ერთი უშველებელი ხურჯინი ჰკიდია. ისე რავა გაუნამუსდებოდა, რომ ერთ-ორი ხაჭაპური არ ჩამოეტანა.

— რავა ბრძანდებით ოჯახით, ჯალაბობით, ბატონო ანდრია?

— გმადლობ ჩემო თეო ქე ვართ ღვთის წყალობით?

— თქვენ რავა გკითხოთ?

— გვიდგია თქვენის შემწეობით სული.

— შეგაწუხეს ყმაწვილებმა.

— უი, დამიწყეს ახლა დარბაზობა ჩაულაპარაკა ერთმა ყმაწვილმა მეორეს. ჩემი მუცლისთვის კი არაფერს კითხულობენ დალოცვილები...

— მიხაკო, მოახერხე რამეფერათ მამაშენს ხურჯინი გაახსნევინო.

— ნუ გეშინია ახლავე! ბაბა, დედას არ გამოუგზავნია წინდები?

— კი, შვილო, ხურჯინშია წადი ამეიღე. სხვა კიდევ რაცხა-რაცხეებია... ამეიღე შვილო, და თეოს მიართვი.

— ახლავე ბაბა

— ხურჯინი საჩქაროდ ოთახში შემოიტანეს.

რა არ აღმოჩნდა შიდ? ორი მოხარშული ქათამი, სულუგუნები, ხაჭაპურები, მჭადი, და რაც ყველაფერზე უფრო ძვირფასი იყო დიდი დოქი ღვინო.

— რას იხარჯებოდით, ბატონო, რას იხარჯებოდით! ფუსფუსებდა თეო.

— ქვილს და ქათამს, როგორც დაპირდება იყო, გამოგიგზავნი. ეს ისე, დედაკაცმა გამოატანა მიხაკოსთან. ხომ მოგეხსენებათ მაგის მეტი არაფერი გვყავს და საწყალი ქალი ერთ ლუკმას რომ პირში ჩაიდებს, მეორე აქეთ უნდა გამოგზავნოს ეს უგზოობაა დასწყევლა ღმერთმა, თვარა ხშირად მოგიკითხავდით ცოტა რამითაც.

ყმაწვილებმა შეუმჩნევლათ გააწყეს სუფრა. ყველა დაჯდა და არხეინათ დაიწყეს ვახშმობა რაც უფრო ჭამას უკლებდენ, სმას უმატებდენ.

— ტრიფონა, ბიჭო, ხვალ განმეორებითი გამოცდა გვაქვს, არ დეივიწყო..

— მერე რა?

— სმას თუ შევყევით ხვალ რაღა მ ვისაზრებთ.

— ახლა შენ დაიწყე ქადაგება ღვ ადამიანის გონებას ამხილებს, ღვინო!

— რავაც გინდა, ძმაო.

— ახლა კი მშვიდობით! ანდრია ხზე წამოდგა, უფრო ჩვეულების ასრუ ლებლათ, ვიდრე ნამდვილათ წასასვლ ლათ

— ბატონო ანდრია! ჯერ საყუ წმინდაო არ დაგვილევია

შენი ნება იყოს მაგაზედაც არ გვ უარს. ყოვლად წმინდა შეეწიოს თქვენს ოჯახს, შენს დედობრივ ზრუ ამ ყმაწვილებზე! ყმაწვილებო თქვენც ღ რთი დაგეხმაროსთ, კარგი კაცები გ გიყვანოსთ, დედმამის სასიხარულოთ, ყნის სასარგებლოთ, ერთმანეთში ძმ და ერთობა არ დაგეკარგოსთ'

— გაგიმარჯოს! გაგიმარჯოს! ბ ლობთ! გაისმა აქედან და იქედან.

ანდრიამ ქუდს მოკიდა ხელი.

— რას ბძანებ, ბატონო ანდრია, მ თმინე, მოისვენე, ხვალ ჩაი მიირთვი წვილებთან და მერმე სადაც გნებავ წარბძანდები.

— ადგილი არ გაქვთ! შეგაწუხებ ხვალ კი ეფისკოპოზს უნდა ვეახლო.. ქმე მაქვს.

— მით უმეტეს, ბატონო ანდრია, ეფისკოპოზის ნახვა გნებავს სწორედ ჩვენ მთაზე უნდა დარჩე აქვე.. ხვალ სიცხეში ზევით ამოსვლა ძლიერ შეგა ხებსთ. თქვენს ჯორს მოუვლით, აგრ ედენით ეკლესიის გალავანში და ისე ადრე გადმოვიყვანთ, რომ ღილ გელოზმაც ვერ შეამჩნიოს.

— შეგაწუხებთ.

— რას ბრძანებ. ოთხი კაც ამ ოთახში, ოცაც რომ დაეწ არ ჩავარდება-დალოცვილი პირ

ქუთაისის მცხოვრებთა საგულისხმოთ,
თეატრის ახაგებ თანხისთვის
ძმ. ჩილინგაროვების შენობაში თეატრის პირდაპირ
6-დან 13 მარტამდი

შეგიძლიათ მოითხოვოთ: ჩაი, ყავა, შოკოლადი, კაკაო, რძე, მაწონი, [illegible]
ცივი საუზმეული და მადნეული წყალი.
დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი
იმღერებენ ცნობილი მომღერლები, წაიკითხავენ ლექსებს

დიასახლისებათ და სტუმრების სამსახურისთვის მოწვეული არიან ქუთაისის საზოგადოების ცნობილი ქალბატონები და ქალიშვილები

9 სანოვაგეზე დანიშნულია გადაჭრილი ნიხრი. წვლილის გაღება სტუმრების ნებაზეა დამოკიდებული. ხურდა ყველას უბრუნდება. უ.

უფროსის თანაშემწე და ქართულ საქ. მთავარი გამგეობის მდივანი პავ. საყვარელიძე კრებაზე გადაწყდა იჯარით აიღონ აჭარის ყველა ის სოფლები, რომლებიდანაც ამჟამად ხალხი გაქცეულია და როცა იქაური მცხოვრებლები უკან დაბრუნდებიან, ისევ პატრონებს დაუბრუნონ.

ამავე კრებაზე გამოირკვა, რომ სახელმწიფო მამულების სამმართველო მზად არის ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს საქველმოქმედო საზოგადოებას, რისთვისაც გამგეობამ მადლობა გადაუხადა სამმართველოს კრებაზე დამსწრე წარმომადგენელს.

◆ ამ დღეებში ქუთაისში მოელიან ცირკს: რომელსაც დაქირავებული აქვს 25 ვაგონი.

ნეტავ თუ სანოვაგისთვის ვიშოვით ამდენ ვაგონებს?

◆ ქუთაისის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობამ საპატიო წევრათ ამოირჩია ა. ყ დათეშიძე.

◆ ქიმიური ლაბორატორიის გამგე ილია ასანიძემ მოვაჭრეებს გამოუცხადა, რომ, რადგანაც ხელოვნურად ნაკეთები ერბო ფურკისი გამოდგა ამიერიდან არ გაყიდონ, თორემ კანონისამებრ დაისჯებიან.

◆ ქუთაისის ვიცე გუბერნატორმა არ დაამტკიცა ქალაქის გამგეობისაგან წარდგენილი ხორცზე მომატებული ნიხრი. ამ ნიხრით გირვანქა უნდა გაყიდულიყო 25 კაპიკად.

◆ 1915 წლის განმავლობაში ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკს წმინდა მოგება დარჩენია 144 ათასი მანეთი.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო შემდეგ სოფლებში დაარსონ მომხ. საზ. ს. საჩინოში (ზუგდიდის მაზ.) „სინათლე", ს. ნიკორწმინდაში (რაჭის მაზრა)—„ყაირათი", ს. ახუთში (ზუგ. მაზ.)—„სინათლე", ს აბედათში „დახმარება", ს. ბანძაში (სენაკის მაზრა) „ნიჭი", ს. საწულიკიძეოში (ქუთ. მაზრა) „შეწეობა", ნ. მუხაყრუაში (ქუთ. მაზ.) „მუხაყრუა", ს. ტყიბულში—„ცხოვრება", ს მოლითში (შორ. მაზ) - „იმედი" და ს. ნაგვაზოვი (სენ. მ.) „წარმატება".

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ შემდეგი

ზეა გაფენილი. ფანჯრები და კარები ლებული გვაქვს. ჰაერი ისეთი დგას, რომ სოფელშიაც ვერ იშოვი.

— თქვენი ნება.

თეო თავის პატარა ოთახში შევიდა. ანდრია ტახტზე დააწვინეს. ყმაწვილებმა ური წაიყვანეს. ჰიშკარში მათ შეხვდა ი.

— აბაზი არვისა გაქვთ? დაეკითხა დეკაცი.

— არა ღმერთმანი! არა! არც მე მაქვს; რვა კაპიკი მაქვს

— ნუ შემარცხვენთ უცხო კაცთან! ჩაი უნდა დავალევიოთ და არც შაქარი მაქვს და არც ჩაი.

— არაფერია, მამიდა, არც სახლშია მახმები ჩაის დაჩვეული...

— ეს შენი საქმე არ არის! გაწყვეტია მეორე ამხანაგმა სიტყვა მიხაკას. თეო თავს ვერ შეირცხვენს. რამე უნდა მოვახოთ. რამდენი გაქ შენ, თეო?

— შაური.

— რვა კაპიკი ტრიფონას აქვს—ესეც მეტი. რამდენია საჭირო სულ?

— სამი კაპიკის ჩაი და თოთხმეტი კაპიკის შაქარი—გაეფეფეს ღვთის მადლით შაქარი, თვარა ცეცხლი ეკიდებოდა.

— არა, ჩვენ კი არ შეგვიმჩნევია არც ფება და არც გაძვირება.-იუხუნჯა ერბა.

— მაშ ოთხი კაპიკია კიდევ საჭირო. შ გეშინია აქა ვართ. შენ ის შაური მოაცე და ოთხ კაპიკს გვენდობა მედუქნე.

— ა, თქვენ კი გენაცვალეთ, არ მომხოთ თავი ქვეყანაში.

— გქონდეს იმედი, ვითარცა ჯოჯოთისა.

— ყმაწვილებმა თავისი სიტყვა პატიოსნათ აასრულეს მეორე დღეს ანდრია და სხვებსაც ჩაი ქონდათ.

ნ. ლორთქიფანიძე

შინაარსის ცირკულიარი მიიღო სასანიტარო და საევაკუაციო ნაწილის მთავარ უფროსისაგან: ყველა საავადმყოფოში (სამხედრო, საზღვაო, წითელი ჯვრის, საზოგადო და კერძო დამხმარე) ვუბრძანებ კვირაში ორ დღეს პარასკეობით და ოთხშაბათობით ხორცი თევზით, ან სხვა რაიმე სამარხვო საჭმლით შესცვალონ ექიმის ჩვენებით.

◆ სახელმწიფო სათათბიროში ამ მოკლე ხანში კვლავ აღიძრება საკითხი ბეჭდითი სიტყვის კანონპროექტის შემუშავების შესახებ

ვერდენთან.

(3 დ. ს.)

ვერდენის გარშემო მთელმა დღემ წყნარად ჩაიარა, გერმანელთა ქვეითა ჯარს შემოტევა არ განუახლებია წინა დღეების იერიშებზე მოქანცული გერმანელები ახალ ძალებს აგროვებენ და ახალ შემოტევისთვის ემზადებიან. ფრანგები გერმანელთა საველე სიმაგრეთ უშენდენ, რათა მოლენკურის ტყისკენ არ გაეშვათ გერმანელები ვეტენკურის და მორტომ კი უმერის დასავლეთით ცხარე ბრძოლა ხდებოდა. ვევრთან გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა, რომელიც მეტად მძაფრ ხასიათს ღებულობს "ფრანგებს ვერდენის მდგომარეობა დღის დღეობით უნუგეშოდ არ მიაჩნია და იმედი აქვთ, რომ მათი მამაცი ჯარი სარდლები მოახერხებენ მტრის ყოველ შემოსევის უკუგდებასა.

პარიზი დღის ცნობა? ფრანგთა ბატარეია ენერგიულათ უშენდა ყუმბარებს მალანკურის ტყეს მაღლობ 286 მახლობლათ ფრანგებმა ააფეთქეს ნაღმი და დაიკავეს ბევობი. მდინარე მაასთან ღამე წყნარად ჩატარდა მაასის რაიონში დუამონთან დრო გამოშვებით ყუმბარებით ბრძოლა სწარმოებდა. ვევრთან ეპარჟას გაყოლებით არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

მოისმინეთ ქართული სასულიერო გალობა!

ამ თვის თექვსმეტს და ჩვიდმეტს ასი კაცისაგან შემდგარი გუნდი გამართავს სასულიერო კონცერტს მამა რაჟდენ ხუნდაძის ლოტბარობით.

გალობა იქნება ქართული, სამხმოვანი, შეუცვლელი. იგალობებენ ისეთ საგალობლებსაც, რომელნიც ამ სამოცი წლის განმავლობაში აღარავის მოუსმენია, იმედია. საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ კეთილ დასაწყისს: თუ გვსურს შევქმნათ ახალი რამე, ჯერ ძველი უნდა აღვადგინოთ და განვაახლოთ, თვარა, როდესაც პირველი საფეხური არ გაგვივლია, მეორე საფეხურს ვერ ავსწვდებით. რაც შეეხება ძველი ქართული გალობის ღირსებას, მომავალი კონცერტი დაამტკიცებს, რომ მასში მეტია მუსიკალური ჰარმონია, გრძნობა და დედააზრი, ვიდრე ახლანდელი ლოტბარების მიერ გადამახინჯებულს ვითომდა ქართულ (!) გალობაში. მოისმინეთ და გამოსცადეთ ჯერ უხილავი ესტეტიური სიამოვნება.

ვასილ წერეთელი.

მეფე ერეკლე მეორის გასამართლება.

დღეს, კვირას, 13 მარტს, ქალაქის თეატრში მოხდება საყურადღებო გასამართლება აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დამამთავრებელ მეფე ერეკლე მეორისა.

ამ მეფის პიროვნება ჩვენს ისტორიაში უსაზღვროა.

მე XIII საუკუნიდან ველურ ურდოების სათელად ქცეულ საქართველოს მე-XVIII საუკუნეში ამომავალ მზესავით ევლინება მეფე ერეკლე მეორე—„პატარა კახად" წოდებული.

მემკვიდრეობით მას მხოლოდ კახეთი ეკუთვნოდა, მაგრამ მალე ქართლმაც ალიარა იგი თავის მეფედ.

ამ დროს სპარსეთი დაუძლურდა ერეკლემ ისარგებლა ამით, და ქართლ კახეთის სამეფო დამოუკიდებლად გამოაცხადა. ერეკლეს გამეფებაში საქართველომ კვლავ სული მოიდგა.

ამ დროს განახლდა თბილისში სტამბა, დაიწყო წიგნების ბეჭვდა.

ერეკლემ პირველათ გახსნა სემინარია (1770წ) არაც ევროპას სტოვებდა ერეკლე უყურადღებოთ ხშირათ გზავნიდა არჩეულ კაცებს, ავსტრიაში გერმანიაში და რომში იქაურ ცხოვრება წესწყობილების შესატყობათ. და მათთან დასაახლოვებლად, მაგრამ ბოლოს ისტორიის ჩარხის ტრიალმა ისევ ბუმბერაზ რუსეთთან დაახლოვება მიუსაჯა ერეკლეს.

იმედია, დღევანდელ გასამართლებას ქუთაისის საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს ირ—და.

სკანდალი კაფეში.

იმ თავითვე ჩვენი სურვილი იყო დუმილით შეხვედროდა ჩვენი საზოგადოება ,,ცისფერ ყანწისტებს'' ვინაიდან, ჩვენ ასეთ გამოსვლაში არავითარ ახალ ლიტერატურულ მიმართულებას არა ვხედავთ. პირ იქით ასეთი გამოსვლა ჩვენ მიგვაჩნია ერთ გვარ უზრდელობათ, როგორი უზრდელობაც არა ერთი და ორი შეგვძლენა ჩვენი ცხოვრების ზერელობამ, მაგრამ გაზეთებმა თავი ველარ შეიკავეს და ჩვენც იძულებული გავხდით ხმა ამოგვეღო.

დუმილითვე გვინდოდა შევხვედროდით იმ სკანდალს, რომელიც ამ დღეებში მოხდა ძმ. ჩილინგაროვების შენობაში ქართულ თეატრის სასარგებლოთ დროებით გახსნილ ,,საჩაიე კაფეში'', მაგრამ, რაკი ,,სოციალისტურ-ფუტურისტულმა გაზეთმა მეგობარმა'' ეს სამწუხარო ფაქტი დაამახინჯა, არ შეგვიძლია დაწვრილებით არ ავწეროთ 9 მარტს ,,საჩაიეში'' მომხდარი სკანდალი.

ღამის 12 ს. იქნებოდა ,,საჩაიე კაფეში დიდ ძალი საზოგადოება იყო შეკრებილი. ,,ფუტურისტი მგოსნები'', რაღაც მოურიდებელი სიამაყით გამოიყურებოდენ. თურმე მოპატიჟებული ყოფილან.

სრულიად მოულოდნელად პატივცემულმა თავადმა კიტა აბაშიძემ მოკლე სიტყვით მიმართა იქ დამსწრე საზოგადოებას და ,,ახლად მოვლენილი ფუტურისტები დიდის ქებით მოიხსენია.

თავადმა საჯაროთ განაცხადა: ,,ეს ყოველთვის ასე ხდებოდა, როგორც ახალი მიმართულება შემოდის ლიტერატურაში, ძველი არსებული მიმართულება ბრძოლას უცხადებს ამ ახალ მოვლენას და საქმე იქამდის მიდის, რომ ძველი მიმართულება სასტიკად მარცხდება, და ახალი მოვლენა სავსებით იმარჯვებს ამ უკანასკნელზე. ეხლაც ამას უნდა ველოდეთ, ეს ახალგაზდობა (მიუთითა პავლე იაშვილის კომპანიაზე) სავსებით გაიმარჯვებენ და მათი მოწინააღმდეგენი სასტიკად დამარცხდებიან''.

თავადის სიტყვებმა საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია. ამავე დროს საზოგადოებამ მოითხოვა კედლიდან ჩამოეხსნათ შოთა რუსთველის სურათი, რომელიც ,,ფუტურისტის'' დახატული ეგონათ, რადგანაც მართლა რაღაც უცნაური ნახელოვნარია.

ჩვენი ცნობილი კრიტიკოსისაგან გათამამებულმა და, სადღეისო ,,გმირმა'' ბ-ნმა პავლე იაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა და მოისურვა დებატები გამართულიყო ,,ცისფერი ყანწების'' შესახებ. საზოგადოებამ არ შეიწყნარა ,,ფუტურისტ მგოსნის'' თხოვნა, რადგან უადგილოდ სცნო ამაზე სჯა-ბაასის გამართვა. ამის შემდეგ იაშვილმა წაიკითხა თავის ლექსი უწმაწურის შინაარსისა და საზოგადოებას ,,არულით'' მიმართა, რამაც დამსწრენი დიდად შეურაცხყო.

ამაზე ბ-ნ ზ. მ—ნმა იაშვილს შენიშვნა მისცა. ჩვენი ,,ფუტურისტი'' არა საკადრისი სიტყვებით გაუმასპინძლდა მას. ,,ადოვკატებს პოეზიისა რა გაეგებათო''.

ბ-ნი იაშვილი იმდენად გაკადნიერდა, რომ მოურიდებლათ მოისურვა „ელენე დარიანის" ლექსების საჯაროთ წაკითხვა, რომლის ნებაც საზოგადოებამ მას არ მისცა და აღშფოთებით შეეგება მის განზრახვას.

ამაზე იაშვილმა საზოგადოებას ასეთი სიტყვებით მიმართა, რუსულად: ,,თქვენ ყველა ბინძურები ხართ'' (ПОШЛЯКИ) ,,მე ლექსებს იმიტომ ვკითხულობ, რომ პირში შემოგაფურთხოთო''. ამ უზრდელობამ ასეთი წყნარი ყველასაგან პატივცემული და მშვიდი ადამიანი, როგორიც არის ბ-ნი გრ. გ—ნიც—კი მოთმინებიდან გამოიყვანა და იაშვილს. ჯოხი მოუღერა.

„კაფეში" საშინელ აურზაური ასტყდა და კინაღამ მართლაც ფუტურისტული მუშტი კრივი არ გაიმართა მაგრამ ისევ კიტამ დაიხსნა ჩვენი „ფუტურისტები" გატყეპისაგან..

ასეთი იყო საქმის ნამდვილი გარემოება, მაგრამ, როგორც სჩანს გაზეთ „მეგობარს" სულ სხვანაირი თვალები და ყურები ჰქონია, როდესაც ჩვენი „ფუტურისტების მოსარჩლედ გამოდის, იქნება რაიმე სულიერი ნათესაობა აქვთ „მეგობარს" ახლად გამოჩეკილ „ფუტურისტებთან?

გზა დაგვილოცნია! დამსწრე.

სახელმწ. სათათბირო.

10 მარტის სხდომა

თავჯდომარეობს პროტაპოპოვი [illegible]. სხდომას მოახსენა მთავარ სამართველოს სმეტა გადაუხდელ გადასახადების შესახებ. ეხება მაგარ სასმელების მოსპობის და თამბაქოს წარმოების საკითხებს, აქცევს ყურადღებას სააქციზო შემოსავალს და დასძენს: საჭიროა თამბაქოს წარმოებაზე ბაჟი 40%-ით გადიდდეს.

საპოლიციო საკითხი

საპოლიციო დეპარტამენტის დირექტორმა, მინისტრთა საბჭოს და შინაგან საქმეთა მინისტრის თხოვნით, განმარტა დეპარტამენტის მიერ გამოცემული ცირკულიარი გადასახადებისა და ებრაელთა შესახებ, რომ მათ არაჩვეულებრივათ გააძვირეს ყოველგვარი საქონელი, მოსპეს ხურდა ფული. ეს საკითხი განმარტა აგრეთვე ფინანსთა მინისტრმა. სათათბირომ ხმის უმეტესობით საკითხი მიიღო. კაპნისტ მეორემ ერობის მომხრე ოკტომბრისტების სახელით განაცხადა, რომ ისინი მხარს არ დაუჭერენ ხსენებულ შეკითხვასო ბომშმა კაპნისტს მხარი დაუჭირა. თავმჯდომარემ შეკითხვა უარყო, ლაპარაკობს აკაკი ჩხენკელი.

სხდომა იხურება.

სხდომა განახლდა საღამოს ნ საათზე თავჯდომარეობს როძიანკო. იხილავენ მინისტრთა საბჭოს და შინაგან საქმეთა მინისტრის შეკითხვას პოლიციის დეპარტამენტის ცირკულიარის შესახებ, რომელიც მიმართული იყო ებრაელთა გასამტყუნებლათ რომ მათ იმპერიაში მიყვეს ხელი სპეკულაციას. პოლიციის დეპარტამენტის ვიცე დირექტორმა ილაპარაკა, რომ ხსენებული ცირკულიარი სრულებითაც არ იყო განზრახ გამოცემული და ებრაელთა შესავიწროებლათ მიმართული იყო. ადრევე იყო გამოცემული და მოსკოვში მომხდარ ებრაელთა დატუსაღებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. გამოცემული ცირკულიარი ყოფილა ორი სახის სახელდობრ, გადასახადებისა და „საიდუმლო" ეს უკანასკნელი მიმართული ყოფილა პოლიციის დეპარტამენტისადმი გადასახადების შესახებ ცირკულიარი უკვე გაუქმებიათ, მხოლოდ პოლიციის დეპარტამენტისა კი ძალაში რჩება. ამ რიგათ საკითხი იმის შესახებ, რომ საპოლიციო დეპარტამენტის ცირკულიარი მიმართული იყო რომელიმე ეროვნების სადევნელათ და შესავიწროებლათ სათათბირომ არ მიიღო. სხდომა შესწყდა.

სამხ. მინისტრის ,,რომანი''.

სამხედრო მინისტრათ ნამყოფის სუხომლინოვის საქმე, რის გამოც იგი შარშან სამსახურიდან დაითხოვეს და რომლის გარჩევა უმაღლესათ სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტის პირველ განყოფილებას მიენდო, საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმასა და ეჭვებს ბადებს.

პეტროგრადიდან სუხომლინოვის შესახებ შემდეგ ამბებსაც იწერებიან. მინისტრობის დროს სუხომლინოვის გარშემო შედგა თურმე ერთი პატარა ჯგუფი, რომელიც კომერციული ინტერესებით იყო გამსჭვალული, თუმცა ამ ჯგუფს, როგორც ირკვევა, სხვა ინტერესიც ჰქონია. ამ ჯგუფთან დაახლოვება იმ დროს მოხდა, როცა სუხომლინოვი ქ-ნ ბუტოვიჩით იყო გატაცებული, რომელიც შემდეგში ცოლათ შეირთო კიდეც. რომანი იმ ხანებში დაიწყო, როცა სუხომლინოვი კიევის ოლქის უფროსათ იყო დანიშნული. აი, ამ დროს გაიცნო ბუტოვიჩის ქალი მან და ამ დროს დაუახლოვდა ზემოხსენებულ ჯგუფს, რომელიც ყველაფრათ ხელს უწყობდა, რომ ბუტოვიჩის ქალი პირველ ქმარს გაყროდა და სუხომლინოვს დაახლოვებოდა. ერთი მთავარ მომქმედთაგანი ავსტრიის ქვეშევრდომი, ალშილლერი იყო. რომელიც სუხომლინოვთან ძალიან ახლო იდგა და ყველა მისი საიდუმლოება იცოდა. ამ ალშილლერს ბუტოვიჩის ქალის ქმრისგან დაშორების საქმეში დიდი მონაწილეობა მიუღია, რის გამოც იგი სუხომლინოვს კიდევ უფრო დაუახლოვდა, ასე რომ ქორწილში მის „მეჯვარეთაც" კი ყოფილა. დიდ მონაწილეობას იღებდა სუხომლინოვის „რომანში" ავსტრიის მეორე ქვეშევრდომიც, მაქსიმე ველლერი. მესამე მონაწილე გერმანიის ქვეშევრდომი იყო ქ-ნი ანა აურიხი, რომელიც გერმანულ გაზეთებს რუსეთიდან კორესპონდენციებს აწვდიდა, სხვები კი შინაურები—რუსები იყვნენ. რა თქმა უნდა, სუხომლინოვი დიდათ დავალებულათ გრძნობდა თავს ამ ჯგუფის წინაშე იმ სამსახურის გამო, რასაკვირველია, რომელიც მას „რომანის" სისრულეში მოყვანის დროს გაუწია. და, აი, როცა სუხომლინოვი სამხედრო მინისტრი გახდა და შემდეგ ომიც გაჩაღდა, მაშინ ამ ჯგუფმა განიზრახა ესარგებლნა მინისტრთან გავლენით და მის დახმარებით ხელსაყრელ პირობებში სამხედრო იჯარები და სხვა საქმეები აეღო ასეთი ოპერაციები იმათ ჯერ კიევშიც სცადეს; მაგრამ სუხომლინოვის გამინისტრების მერე, ცხადია, უფრო ფართოდ მოკიდეს ხელი. სუხომლინოვთან ერთად პეტროგრადში ამ „კამპანიამაც" კარგათ მოიკალათა. აღმოჩნდა, რომ სამხედრო მინისტრთან პეტროგრადში მჭიდრო კავშირი და დაახლოვება ჰქონდათ ზემოხსენებულ ქვეშევრდომებს, ავსტრიელებს და გერმანელ ქალს ანნას. ამათ სამხედრო იჯარები და საქმეები მალე ჩაიგდეს ხელთ და მონოპოლიაც კი მოიპოვეს ამ საქმეში. ისინი სამხედრო მინისტრთან მეგობრულ განწყობილებაშიაც იყვნენ, ასე რომ სუხომლინოვი მათ კერძო საქმეებშიაც დიდ თანაგრძნობა—დახმარებას უწევდა. მაგალითად, როცა ავსტრიელმა ალშილლერმა ვიღაც მომღერალ ქალზე ჯვარის წერა დააპირა, მინისტრმა მოინდომა სამაგიეროს გადახდა და ახლა ავსტრიელს „მეჯვარეთ" თვითონ დაუდგა, ყველა ეს პირი და ის გერმანელი კორესპონდენტი ქალი ისე დადიოდენ სუხომლინოვის ბინაზე, როგორც თავის სახლში. აქედან რა შედეგი მოყვებოდა ამას დღევანდელ ომიანობის დროში, ცხადი წარმოსადგენია.

ამ დამახასიათებელი ფაქტების გარდა, გამომძიების მიერ შეგროვილ მასალიდან ისიც აშკარათ სჩანს, თუ როგორ უენერგიობა უგულობას იჩენდა სამინისტრო ქვეყნის დაცვის საქმეში იმ დროს, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო მინისტრის პორტფელი სუხომლინოვის ხელში იყო.

შემდეგ, როცა ყველაფერი ეს ცოტათ თუ ბევრათ გამოაშკარავდა, უმაღლესათ დაინიშნა ამ საქმის გამო გამოძიება და სუხომლინოვიც ადგილიდან დაითხოვეს. მხოლოდ საგამომძიებლო კომისია დიდ ხანს ვერ დაადგა ერთ აზრს: ვერ შეთანხმდენ მისცენ თუ არა პასუხის გებაში ყოფილი მინისტრი. მას კომისიაშიც დამცველები აღმოაჩნდა. მაგრამ ძლივს, როცა კითხვა გართულდა და მდგომარეობა სახიფათო შეიქნა, კომისიაც ერთ ხმათ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყოფილი სამხედრო მინისტრი გაასამართლონ, ვინაიდან მას ბევრი რამ ედება ბრალათ, რის შესახებაც კომისიას დიდძალი მასალა აქვს შეგროვილი. მართალია სასამართლოს წესით ყველაფერი გამომჟღავნდება, მაგრამ დღევანდელ პირობებში გასამართლება მართლაც, რომ მოხდეს, სხდომები დახურული იქნება და ამ ნაირათ საზოგადოებისთვის სუხომლინოვის „რომანის“ სრული შინაარსი მაინც დაფარული დარჩება.

(„რ. ვ.“).

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო თებერვლის ნომერი ჟურნალ „ჯეჯილის“ მდიდარს შინაარსისა და ჩვეულებრივ სუფთად გამოცემული.

სხვათა შორის ამ ჟურნალში დაბეჭდილია მშვენიერი და დედაშვილური გრძნობით გამთბარი - წერილი ეკატერინე გაბაშვილისა. „ბაბია შიოს დაკვირვებანი“.

ამ წერილში მოყვანილია ის ლექსი—მისალმება, რომელიც სადღესასწაულო დილაზე ადლეგების გამო ვეღარ წაუკითხავს ბაბია შიოს. აი ეს ლექსიც:

ცხოვრებისგან გულგატეხილს
და ნახევრად ხელჩაქნეულს,
ველარავინ ვეღარ მიცნობს
მე ბაღლებში, ბაღლად ქცეულს!
ცხოვრებისგან გადატეხილს
და ბედისგან მწარედ ძლეულს,
ვინ წამართმევს ამ სიმდიდრეს
ვინ წამართმევს ამ განძეულს?!

იღბალიც რომ ვერავინ წაართმევს სავარელ მგოსანს იმ სახელსა და დიდებას, რომელიც მან დაიმსახურა ქართველი ბავშვებისადმი ერთგულებით.

— —

ჩვენმა რედაქციამვე მიიღო ქ. გორში დაბეჭ. იას. ეგრესელიძისაგან გამოცემული: 1) „**საყმაწვილო მოთხრობანი**“ ს. მგალობლიშვილისა, ფასი ექვსი შაური და „**ალუდა ქეთელაური**“ პოემა ვაჟასი ფასი ორი შაური.

პროვინციის ცხოვრება.

ს. სვირი (ზემო იმერეთი).

ს. სვირს ჩრდილოეთ დასავლეთით აბლავს დიდი ჭალა, საბალახე და საყანე „იალალი“ ეს ჭალა „იალალი“ ეკუთვნის თითქმის ყველა—სვირელ მცხოვრებთ. აქვე აქვთ ადგილები თ—ბს გ ა—რს და ს. ა—ძეს

რამოდენიმე წელიწადია, ვიღაც მეჯოგეები ჩამოერეკებიან ხოლმე ცხვრის ფარას ზამთრობით და გაზაფხულამდე აქ აძოვებენ. სვირელებს კი ეს საბალახე თვითონაც არა ჰყოფნისთ.

პირველად ჩამოირეკა თუ არა ჯოგი, ხალხმა მთავრობას მიმართა და სთხოვა: ეს უსამართლობა თავიდან მოგვაშორეთ როდესაც საქმის გამოძიების შემდეგ თხოვნის დაკმაყოფილებას მოველოდით, აღმოჩნდა, რომ მეჯოგეები ჩამოუყვანია ზემოხსენებულ თ—ბს და შესაფერი პირობაც შეუკრავს მათთან, რომლის ძალითაც მეჯოგეებს ნება ეძლევათ აძოვონ თავის ჯოგს, არ ვიცი, მათსავე ადგილებში, თუ სვირელების საყანე-იალალზე.

თ-ბის ადგილები კი, ისეთს მრავალ რიცხოვანს ფარას დასამწყვდევათაც თუ დაიტევს და როგორ დავიჯერო, რომ საძოვნათაც ის ეყოს.

თ-ბის ადგილების რაოდენობა არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ცხვარი აიშლება თუ არა, გადადის სვირელების ადგილში და დილიდან საღამომდე აქ სძოვს

წელსაც, მეტი უსამართლობისაგან განაწამებმა სვირელებმა კიდევ მიმართეს ადგილობრივ ბოქაულს და სთხოვეს დახმარება; მაგრამ, როგორც გავიგე, მანაც ჩვეულებრივი კილოთი მიუგო ხალხს: „თუ ჩემს წინა მოადგილეებს არ გადაურეკია ეგ ფარა, მე რაღ უნდა გადავრეკოო“. ხალხი ისე გაჩუმდა, თითქოს ეს დანაშაული მათ ჩაედინოთ. ვერ გაბედეს ეთქვათ ის, რისი თქმაც სიმართლეს გამოარკვევდა.

ახლა ხალხი კიდევ განაჩენს უცდის, კანონს, სამართალს

დროა, დღეს მაინც დაფასდეს და ყურადღება მიექცეს ხალხის კვნესა გოდებას. მათი ძლიერი და საფუძვლიანი ინტერესები არ უნდა შეილახოს თითო პირისაგან საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, ამ გარემოებას დროით ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ხალხს სამართლიანი თხოვნა შეუსრულდეს.

მ. სვირელი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

კოპენჰაგენი. 10 მარტი. ბერლინიდან ცნობაა. რეიხსტაგში სოც. დემოკრ. ფრაქციამ რეზოლუცია შეიტანა წყალქვეშა ომის წარმოების შესახებ, რომელიც ხშირად დიდ უკმაყოფილებას იწვევს ნეიტრალ სამეფოებშიო. რეიხსტაგმა წყალქვეშა ომის წარმოების შესახებ არსებითი ვერაფერი შეიმუშავა, რადგან წყალ ქვეშა ომის წარმოება მიმართული სახელმწიფო თავდაცვის საქმისთვისო.

ათინა. ბულგარეთის აწინდელ მდგომარეობას და აგრეთვე რადოსლავოვის წინააღმდეგ შეთქმულების აღმოჩენას ბულგარეთში რევოლუციის დაწყების ნიშნად აღიარებენ.

ლონდონი. ოფიციალი გასულ ღამეს მტერმა ააფეთქა ორი ნაღმი, მაგრამ ჩვენი ჯარისთვის ზიანი არ მოუყენებია. ბერმელთან ხელით სასროლ ყუმბარებით ბრძოლა ხდებოდა, სადაც ბეზმაკარას დასავლეთით ჩვენ მტერს დავახევინეთ.

პარიზი. დღის ცნობა მაასის დასავლეთით დღის განმავლობაში ცოტათი შენელდა. ვერმანელებმა ოკურთან იერიში მოიტანეს მაგრამ მოიგერიეს. ვეფრთან არაფერი საყურადღებო არ მომხდარა.

ლონდონი. გერმანელების მიერ უკანასკნელ საჰერო თავდასხმაზე დუვრთან ინგლისელებს დაუღუპავთ მათთვის ერთი აეროპლანი.

კოპენჰაგენი. ბერლინიდან ოფიციალათ იუწყებიან, სილეზიასა მოუეიცსა და ჰრისენბურგში მაღაროებში აფეთქება მოხდა სადაც 20 კაცამდე დაღუპულა.

რომი. დეპუტატთა პალატის სხდომები გადადებულ იქნა სალანდრა ბრძოლის ველზე წავიდა.

რუსეთი სხვა და სხვა ამბები. ლიბავორომენის რკინის გზის მთავრობამ განკარგულება გასცა ყველა ის მოხელე, რომელთაც მექრთამეობას შეუტყობენ სასტიკათ იქნებიან დასჯილნი.

კიევი. არსდება ადგილობრივ ვაჭარ მემამულეთა ბანკი, რომელსაც აგრეთვე განზრახვა აქვს შაქრის ქარხანა მოაწყოს.

ფინლიანდიაში დღე და დღე ძვირდება საგაზეთო ქაღალდი.

მოსკოვში გაფიცვების გამო სამხედრო სასამართლომ 8 კაცს ათათი თვის ციხე მიუსაჯა.

პეტროგრადში გარდაიცვალა სენატორი სახ. საბჭოს წევრია. საბუროვი.

იუსტიციის სამინისტრო ამ ცოტა ხანში კანონ-პროექტს შეიმუშავებს იმპერიაში ტყვების გაჩენის შესახებ

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩი გერმანეთიდან ჯერ ჯერობით არ წამოვა ვინაიდან მოლაპარაკება აქვთ მომავალი ზავის შესახებ.

რომი სუგანის ველზე მტერმა შემოგვიტია, მაგრამ სასტიკი დამარცხებით უკუ ვაგდეთ, ჩვენ რამდენიმე კაცი ტყვედ ჩაგვივარდა. გორიცასთან გაცხარებული ბრძოლა ხდებოდა.

ლონდონი. ფიკურთან და გომკურთან საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა. პოპენტილერენთა რედუტთან ჩვენ მტრის თხრილებში აფეთქება მოვახდინეთ.

სოლუნი გერმანელთა რაზმი სოფელ დასტლის ათვალიერებდა, სადაც მას მოულოდნელად სროლა აუტეხეს ფრანგთა მზვერავებმა. ფრანგებმა 9 გერმანელი ტყვეთ წაიყვანეს

კოპენჰაგენი. ბერლინიდან ცნობაა სახალხო პროგრესიულმა პარტიამ თავისი რეზოლუცია წყალ ქვეშა ომის შესახებ უკანვე წაიღო. ბუდაპეშტიდან იუწყებიან: უნგრეთის მთავრობამ აკრძალა სხვა და სხვა სურსათასანოვაგის გაზიდვა.

ქრისტიანია. კაპიტანმა როალდმა განაცხადა, რომ იგი სამხრეთ პოლიუსისკენ კვლავ ეპირება ექსპედიციის მოწყობას რომელიც შეჩერებული იყო ომის გამო.

სხვა და სხვა ამბები.

რ უ ს ე თ ი.

პეტროგრადი. რედაქტორის საქმე. სენატმა უყურადღებოთ დასტოვა ვეჩ. ვრ. რედაქტორის ბორის სუვორინის საჩივარი, რომის სასამართლო პალატამ 1000 მ. დააჯარიმა ლუცკის მტრის ინსპექტორის ნეუტიევის სადგომ გერმანოფილობის და წამებისთვის.

ფინლიანდიისა, საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის წესიერი მიმოსვლა და ამანათების გზავნა დაამტკიცა სენატმა.

პასუხად „საზანოელ ქალს“.

(შემდეგი ის. „სამშობლო“ № 306.)

შევკითხეთ თქვენს თავს და პასუხი ასე მომეცით შემდეგ კითხვაზე, ქ-ნო საზ. ქალო! ჩახირიდან, რომელიც ს. სვანის აკრავს, წამისულმა ბაყმა მაცხოვრამდე რამდენი ვერსი უნდა გაიაროს? თუ თქვენ არ დამეთანხმებით, რომ აი ვერსს (10 ვ.) აღემატება იქით აქეთ, იმ შემთხვევაში არა თუ საზანის მკვიდრი ბრძანდებით, არც კი იცით თუ რომელ მხარეზე მდებარეობს ეს სოფელი რაც შეეხება მაცხოვრის ეკლესიის გალავნის სიღამაზეს, ამას სკოლასთან არა აქვს დამოკიდებულება, რადგანაც სკოლა გალავნის ქვევით არის ეხეც არ იცით, რაკი ბ-ნი მზრუნველი ასე ეძებდა მაღლობ ადგილს სკოლისთვის, ბარემ ცოტა კიდევ გაეწია იქით და „დიდ წიფელაზე“ გაეტანა, სადაც ზამთარ-ზაფხულ ქარი განუწყვეტლივ უქროლავს და სიცივე, მართლა, მთელი საქართველო მოსჩანს თვით კავკასიონის ქედამდე. შემდეგ: მე მაგიერებთ სიცრუეს, მაგრამ გეტყობათ თქვენ უფრო გეწყინებათ ის, რომ თქვენი წერილი შეალამაზოთ და პატივცემული მკითხველი შეცდომაში შეიყვანოთ იმ დროს, როცა სკოლის გახსნაზე ასეთ გაზეთში იყო „სამება“ ს. საზანოში, ჩემს მეუღლეს აზრადაც არ ჰქონია საზანოს აფთიაქის შექნა, (ის მაშინ ჭიათურის აფთიაქში მსახურობდა), მაგრამ როგორც თავის მეზობელ ხალხისთვის გულშემატკივარი; ებრძოდა იმ ბოროტებას რომელიც სკოლის საკითხის გარშემო ტრიალებდა. მაშინაც იყო გაზეთ „იმერეთში“ მოთავსებული იმ „მამულის შვილთა“ მოქმედება, მაგრამ მათ ხალხის ნამდვილი ჭირისუფლობა ურჩევნ და მაზრის უფროსის მეშვეობით თავის კარებთან სკოლა ააგეს. ეს იყო 1910 წ. ჩემმა მეუღლემ—კი 1914 წ. მარტში შეიძინა ეს აფთიაქი. 1910 წელში ბანკის ხსენება არ ყოფილა ს. საზანოში და არც ჩვენ გვიფიქრია ჭიათურაში, პრიაპზორის თანაშემწე ბ. გოგოლ. სამსახური გავცვალე და მის აფთიაქთან გავხსნი ბანკი, ახლა კი სულით და გულით მოწადინებული ვართ, ქ-ნო „საზ. ქალო“, რომ უფრო დაწვრილებით [illegible] ბამ. მაგ. კანცელარიამ, ბანკმა, ფოსტამ უფრო, აფთიაქმა დუქნებთან და რკინის ხიდთან მოიყარეს თავი, რომ მცხოვრებთ, საშუალება მიეცეთ ერთის და ორ საათში მოითავონ საქმეები ყველა ამ დაწესებულებაში და ოჯახშიც დროზე დაბრუნდნენ.

სწორედ იმიტომ მოვათავსე ჩემი წერილი რუსულ გაზეთში, რომ მთავრობამაც იცოდეს, თუ რა უკანონობა ხდება ს. საზანოში („და არა მის თვალის ასახვად“). მეგონა თუ პასუხსაც იმავე გაზეთის საშუალებით მივიღებდი, მაგრამ, როგორც ეტყობათ, თქვენ „მამულიშვილებს“ უხერხულად მიაჩნიათ ეს; იმათმა თქვენზე უკეთ იციდენ, თუ რა მოჰყვებოდა მაგათ პასუხს და დიპლომატიური სახეში არჩიეს. თქვენ კი თქვენი პასუხით ცუდი სამსახური გაუწიეთ მაგათ. ახლა კი შეიძლება საბოლოოთ გამოქვეყნდეს თუ ვინ არის ნამდვილი გულშემატკივარი საზანოსთვის და სადაა მის საშუალო ადგილი: მაცხოვრის ეკლესია, თუ ის „სრეტე“, რომელიც თქვენ ასე გაშანებთ.

რაც შეეხება ჩემს, სხვადასხვა „დაწესებულების მოხელეებთან“ კავშირს, რისთვისაც გთხოვთ, მე ვცდილობ ვყვლა ამ დაწესებულების ჩემს აფთიაქთან თავის მოყრას, უნდა მოგახსენოთ, ქ-ნო „ს. ქ.“, რომ მე ჟერ მახსენება დრო არ მქონია ს. საზანოში და „სხვებისგან კი ხშირათ გვესმოდა, „ОТЧАЯННАЯ СКУКА“ გვაწუხებსო! ესეც არ იყოს, „მოხელეებთან“ კავშირის მაგივრათ მე შემეძლოთ მართლ უფრო კანონიერად გასართობის სდგენ, მაგრამ, მართალი უნდა მოგახსენოთ, ასე გამოტაცა საზანოს ბედ იღბალმა, რომ დრო[illegible] მაგ საყვარელ საქმესაც ჩამო[illegible]

მასხინბი არფიათ [illegible]

ღია წერილი

ვასო ჩითავას.

თქვენ, „ახალი ცისკრის“ პირველ ნომერში, შეგითხზავთ რაღაც ამბავი შემდეგი სათაურით: „და-ძმა“, რომელშიაც, ვითომ მეგობრის პირით, „ცისკრის“ მკითხველებს მოუთხრობ მეზობელ ადლის თავის მოწამვლის ისტორიას. ადლი ხომ, ჩემი ძმა და, მისდა სა უბედუროთ, თქვენი მეზობლის, ალექსანდრე დორიას, შემოკლებითა სახელი იყო ამხანაგებიდან დარქმეული. ადლიმ თავი მოიწამლა ორი თვის შემდეგ თქვენ რომ ევროპიდან დაბრუნდით. მისი და პელაგია მე ვარ და თქვენ იმით გაბრაზებული, რომ მე გამოვეშკარავე „მეგობრის“ 85 ნომერში საქმენი თქვენი საგმირონი, ამით ფირით ჩემზე ჯავრს, რომ ჩემი ძმის სიკვდილში მე მდებთ ბრალს. თქვენ სტყუით და სარგებლობთ იმით, რომ ჩემი ძმა მკვდარია, მისი გულითადი მეგობრები და ის პირები, რომლებიც ჩვენს ოჯახში მთელი წლობით იყვნენ, ეხლა გაფანტული არიან აქეთ იქით. ზოგი იმის გამო და ზოგი სამსახურისა და ამისთვის პასუხს ვერავინ გაგცემსთ.

თქვენ სარგებლობთ ჩემი იძულებითი დუმილით ამ საქმის შესახებ და გინდათ მკითხველების თვალში დაგვამციროთ მეც და ჩემი ძმაც

რადგან გაზეთის ფურცლებზე ყოველიფერის თქმა არ შეიძლება, ამისათვის გაძლევთ წინადადებას გამომყვეთ სამედიაციო სამართალში და თუ თქვენ იმას დამიმტკიცებთ, რომ მე მასვთის ცუდი და ვყოფილვარ, ან თუ ის მე შევაწროებული მყავდა და ამ მიზეზების გამო მოიწამლა თავი, იმ შემთხვევაში მე გადავიხდი საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოთ 100 მანეთს და აღვიარებ ყველა აჭარის და თბილისის ქართულ-რუსულ გაზეთებში ჩემს დანაშაულს და თუ ვერ დამიმტკიცებთ, მაშინ თქვენ გადიხდით 100 მანეთს და მოიხსენებთ ბოდიში ყველა ზემოთ დასახელებულ გაზეთებში. გაძლევთ ერთი კვირის ვადას. შუამავლებად ვასახელებ ჩემის მხრით მასწავლ.: ანტონ ლოჩმარიას და დავით ბზვანელს.

პ ლორიას ასული.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „სამშობლოს“ 305 №-ის ქრონიკაში ცნობა იყო მოთავსებული, რომ საფიჩხის სასაფლაოზე ჯარის კაცთა დასამარხის გასაჭრელ სასყიდელს გამგე თხოულობს 2 მანეთს, სამხედრო ლაზარეთის [illegible] თეთრეული [illegible] 50 [illegible] ჯერდება.

თუმცა სა[illegible] ლაზე ჯა[illegible] მხოლოდ სამი ჯარის კაცი დასაფლავდა და [illegible] საფლავ-სამარხი ჯარის კაცებმავე გასჭრეს [illegible] დასაფლავე[illegible] ვის სამხე[illegible] ხარეთისაგან აღნიშნულ [illegible] თვის არა[illegible] ული არ უთხოვნია, [illegible] ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, მაქვს [illegible] ვაუწყო მკით[illegible] საზოგადოებას შემდეგი:

25 წელზე მეტია, რაც საფიჩხის მა[illegible] დიდებულთა სასაფლაო არსებობს; 1907 წ[illegible] მას განაგებდა ქალაქი[illegible] თვითმართველობა, [illegible] მელსაც სამარხის გასაჭრელი სასყიდელი [illegible] ბული ჰქონდა თავისთვის: დიდი სამარხისა[illegible] 2 მანეთი, ხოლო 1 მ. 50 პატ. ყმაწვილისთვის[illegible] 1907 წლიდან ამ სასაფლაოს განაგებს სასაფ[illegible] რო მთავრობისაგან [illegible] სამხრეულ[illegible] კომიტეტი, რომელმა[illegible] ტოვა მესაფლავეებისათვის, თუმცა ამ [illegible] დროს მეშა ხელი მეტისმეტად ძვირია.

სამხრეულელოსთან დადებულის ხელშეკრუ[illegible] ბის ძალით, სასაფლაოს მოიჯარადრე [illegible] ლის ხოლმე 2 მანეთი დიდი სამარხის [illegible] ლი, ხოლო პატარასთვის 1 მ. და 50 კ.

საფიჩხის სასაფ. სამხრ. წევრი მღვდელი
თ. დუმბაძ

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლ**

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	5 ს. 50
„	½საღამ.	6 ს. 57
ბათომიდან	დღისით	1 ს. 25
	ღამის	2 ს. 23
ფოთიდან	დილის	10 ს. 8
ტყიბულიდან	საღამოს	7 ს. 39
შორაპნიდან	დილის	9 ს. 16

ქ. ქუთაისიდან გადის

თფილისისაკენ	დილის	11 ს. 55
„	ღამის	1 ს. 7
ბათომისაკენ	დღისით	5 ს. 30
„	დილის	4 ს. 27
ფოთისაკენ	დღისის	4 ს. 27
ტყიბულისკენ	დილის	6 ს. 20
შორაპნისაკენ	დღით	5 ს. —

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი სოდა
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზ
ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ავათმყოფნი გონორეი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ **მორნისა**.

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საქმით პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტკლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, ცვნას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს, ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. [illegible] საფთიაქო მაღაზიაში.**
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული განკურნებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ

პოპულიარული [illegible] იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლგოვგი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით განვთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომმადლა ის, რაც სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდნენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს
თქვენი მადლობელი **ია. ნ. კოლგოვგი.**
ქ. პეტროვსკი სირ-დარიის ოლქი. 9 (წლიური)

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა ალ. კობრეიძისა—ქუთაისში.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან